PDF Eraser Free

*დანართი №1*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „საფინანსო სერვისები“ - მონიტორინგის შესახებ

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: ანა უგულავა

**წევრები:**

გიული გურგენიძე

ნატო ალავიძე

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

■ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

_**ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):**_

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☐ გეგმიური



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☐ არაგეგმიური

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით დანიშნული მონიტორინგი.

## II. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| საფინანსო სერვისები | 40 | 18 | 2 |

## III. საერთო მიმოხილვა

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობით (2021 წლის 14 ივლისის №706603 ოქმი) სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრი) დირექტორის 2021 წლის 21 სექტემბრის MES 0 21 0000954554 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

(განხორციელების ადგილი: ქ. გორი, აღმაშენებლის ქ. No124), ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტების შესრულების შემოწმება.

მონიტორინგის განხორციელების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მეშვეობით, მიიღო დაწესებულების მხრიდან გამოგზავნილი დოკუმენტაცია. დოკუმენტაციის შესწავლის შემდგომ, ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა დისტანციური მონიტორინგის განრიგი და დაწესებულებასთან შესათანხმებლად გაუგზავნა ცენტრს. მონიტორინგის განრიგის თანახმად, მიმდინარე წლის 30 სექტემბერს, ექსპერტთა ჯგუფსა და დაწესებულების წარმომადგენელთა შორის შედგა დისტანციური კომუნიკაცია, თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, კერძოდ zoom პლატფორმის გამოყენებით. მონიტორინგის განრიგის თანახმად, დისტანციური ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ დაწესებულების წარმომადგენლებს, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს, პროგრამის ხელმძღვანელს, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენელებს და ბიბლიოთეკარს. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დაწესებულების მიერ ცენტრის მეშვეობით ექსპერტებისათვის წარდგენილი საგანმანათლებლო პროგრამისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის განხილვა. შემოწმდა საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული მატერიალური და სასწავლო რესურსი. აღნიშნულის ფარგლებში ვიდეო ზარის საშუალებით ექსპერტთა ჯგუფს მიეცა შესაძლებლობა დაეთვალიერებინა პროგრამის როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული სწავლებისათვის განკუთვნილი გარემო.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტის მიერ დადგინდა, რომ აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებით არ იქმნება აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების არაჯეროვნად განხორციელების რისკი და არ მოხდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების დარღვევა.

წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მომზადებული დასკვნ(ებ)ის თანახმად, დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“ ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა როგორც მეტწილ შესაბამისობაში, რადგანაც 2.2 კომპონენტი შეფასდა მეტწილად. მიმდინარე მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებულ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
დოკუმენტებზე დაყრდნობით და ასევე დისტანციურად განხორციელებული ვიზიტის შესაბამისად, ზემოაღნიშნული პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.2 კომპონენტი ექსპერტთა მიერ შეფასდა სრულ შესაბამისობაში და შესაბამისად ზემოაღნიშნული პროგრამა არის უკვე „სრული შესაბამისი“.

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი/ები, ასეთის არსებობის შემთხვევაში*

## V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა *(ასეთის არსებობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული წარმოების მიზნებიდან გამომდინარე)*

წინა ადმინისტრაციული წარმოებისას პროგრამის 2.2. კომპონენტის ფარგლებში არ გაცემულა განმავითარებელი რეკომენდაცია.

## VI. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფს ხარვეზი არ დაუფიქსირებია.

## VII.სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
მონიტორინგის ფარგლებში არ გაცემულა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია.

## VIII. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ექსპერტთა ჯგუფს დაწესებულების განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად რეკომენდაცია არ გაუცია.

## IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“*

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | საფინანსო სერვისები |
| პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში<br>BasicVocational Qualification in Finance Service |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0412 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები | აკადემიური საბჭოს დადგენილება No 6-39; 10/06/2020 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. გორი, აღმაშენებლის N124 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 40 |
| სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).* | – |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | – |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 51 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | – |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 66 |

## X. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“*

| სტანდარტი/კომპონენტი | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება |
|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | (ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება) |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | სრულად შესაბამისი |

## სტანდარტის შეფასება

**პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება**

*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**2.2.1.1.პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალიწინებით.** პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა - 40 სტუდენტი, ორ ცვლაში,

PDF Eraser Free

ჯგუფში 20 პროფ სტუდენტი. დისტანციური ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტების მიერ გადამოწმებული იქნა პროგრამის „საფინანსო სერვისები“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. დაწესებულების მიერ საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსების რაოდენობა შეესაბამება დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. მონიტორინგის განხორციელების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მეშვეობით, მიიღო დაწესებულების მხრიდან გამოგზავნილი დოკუმენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და დისტანციური ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ A, B და C გარემოში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამით/მოდულებით გათვალისწინებული აუცილებელი ტექნიკური აღჭურვილობა, კერძოდ: A - B (აუდიტორია N313, IV კორპუსი, აღმაშენებლის ქ.N124, ქ.გორი) გარემოში განთავსებულია 20 პროფესიული სტუდენტის სამუშაო ადგილი. გარემო განკუთვნილია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მეცადინეობებისათვის. აუდიტორია აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფით, ინდივიდუალური კომპიუტერებით (20 ერთეული (20+1). მეტი თვალსაჩინოებისათვის, დისტანციური ვიზიტისას დაწესებულების წარმომადგენლებმა ჩართეს რამდენიმე კომპიუტერი, მათი აქტიურ მდგომარეობაში ყოფნის დასადასტურებლად. აუდიტორიაში განთავსებული იყო ასევე კომბაინი (პრინტერი, ასლგადამღები, სკანერის ფუნქციით), პროექტორით, გამომთვლელით, ლუპით, ფულის ულტრაიისფერი დეტექტორით, ფულის სათვლელი მანქანით, საინკასაციო ჩანთის მულაჟით, ფასეულობზებისთვის ქისის მულაჟით, შტამპებით (ტვიფრებით: ნომრით, „განაღდებულია“, „არ ექვემდებარება დაბრუნებას“, „ასლი დედანთან სწორია“), თემატური თვალსაჩინოებები (შემოსავლის ორდერი; ბალანსგარეშე შემოსავლის ორდერის ფორმა; გასავლის ორდერი; საინკასაციო ნუსხის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ფორმა; ბალანსგარეშე გასავლის საბუთის ფორმა; ნაღდი ფულისა და სხვა ფასეულობების აღრიცხვის ჟურნალის ფორმა), ბანდეროლის მულაჟი, ფულისა და სხვა ფასეულობების მულაჟი, სხვადასხვა პროდუქტის მულაჟი/იმიტაცია. ასევე, ექპერტთა ჯგუფის მიერ დეტალურად იქნა შემოწმებული აღნიშნული მატერიალური რესურსის შეძენის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულებები და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტები.

დაწესებულებას პროფესიული პროგრამის ,,საფინანსო სერვისები“ მოდულის ,,საწარმოო პრაქტიკა - საფინანსო სერვისები“ სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება სს ,,ფინკა ბანკი საქართველო“ - სთან, სავაჭრო ორგანიზაციებთან - შ.პ.ს ,,მონტე“, შ.პ.ს ,,ქება 2010“ და შ.პ.ს ,,სმაილი“. რომელთა მფლობელობაში არსებული ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსი უზრუნველყოფს მოდულის პრაქტიკული კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალიწინებით. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტები გაესაუბრნენ ბანკისა და სავაჭრო ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომლებმაც გამოთქვეს მზაობა, საწარმოო პრაქტიკის გავლისთვის.

წინა წარმოების ფარგლებში დაწესებულებას მიეცა სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია გაუმჯობესების გეგმაში მითითებულ ვადაში (1 თვე). კერძოდ, დაევალა სავაჭრო ობიექტებთან (შ.პ.ს „მონტე“, შ.პ.ს „ქება 2010“, შ.პ.ს „სმაილი“) ხელშეკრულებების გაფორმება (განახლება) - აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია დაწესებულების მხრიდან. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია სამივე ობიექტთან გაფორმებული სტანდარტთან შესაბამისი ხელშეკრულება, რომელიც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ემსახურება მოდული „საწარმოო პრაქტიკა-საფინანსო სერვისები“ სწავლის შედეგების მიღწევას და თარიღდება 2021 წლის 23 ივნისით.

*ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალიწინებით.*

**2.2.1.2**. საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის, საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“ ხორციელდება 9 პროფესიული განათლების შესაბამისი კვალიფიკაციისა და სამუშაო გამოცდილების მქონე მასწავლებლით, საიდანაც 3 მათგანი ასწავლის პროფესიულ მოდულებს, ხოლო 6 - ზოგად მოდულებს. დაწესებულების მერ, ცენტრის მეშვეობით ექსპერტებისათვის მიწოდებული საგანმანათლებლო პროგრამის მასწავლებლების დატვირთვის დოკუმენტის თანხმად არცერთი მასწავლებლისათვის კვირეული დატვირთვა არ აჭარბებს 40 საათს.

*ცენტრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის ფარგლებში გამოთქმული პოზიციის თანხმად უნდა ითქვას, რომ საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

**<u>2.2.1.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.</u>** დისტანციური ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გასაუბრება ჩატარდა პროფესიული მოდულების განმახორციელებელ სამივე პროფესიულ მასწავლებელთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელთანაც. დაწესებულების მიერ მოწოდებული პირადი საქმეების შესწავლისა და zoom პლატფორმის გამოყენებით ჩატარებული ინტერვიუს შესაბამისად, დასტურდება რომ პროფესიულ მასწავლებლებს გააჩნდათ შესაბამისი მოდულების განხორციელების როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კომპეტენცია.

აღნიშნულზე დაყრდნობით უნდა ითქვას, რომ *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.*

**<u>2.2.1.4.</u>** <u>საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.</u> საგანმანათლებლო პროგრამას ხელმძღვანელობს სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2020 წლის 29 დეკემბრის N3-460 ბრძანებით დანიშნული პროგრამის ხელმძღვანელი. რომელიც არის დარგის სპეციალისტი, მიღებული აქვს შესაბამისი დარგობრივი განათლება და აქვს დარგში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. დაწესებულების მიერ გამოგზავნილი პირადი საქმის, ხელშეკრულებისა და მასთან გასაუბრების შესაბამისად დადგინდა, რომ მისი, როგორც პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება სრულად შეესაბამება მარეგულირებელი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

დებულებების (საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქცია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი) მოთხოვნებს. დისტანციური ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა, რომ პროგრამის ხელმძღვანელს გაცნობიერებული აქვს და იცის მისი, როგორც პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები.

***აღნიშნულის თანახმად, დასტურდება რომ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.***

**2.2.1.5.** საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებგვერდზე (http://gu.edu.ge/ge/library), ასევე დაწესებულების ბიბლიოთეკაში ელექტრონული და მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმებულ იქნა ვებ.გვერდზე განთავსებული ელექტრონული სახელმძღვანელოები, ასევე დაწესებულების წარმომადგენლების ჩართულობით ვიზიტის ფარგლებში მოხდა ბიბლიოთეკის დათვალიერება და ბიბლიოთეკართან გასაუბრება ZOOM-ის პლატფორმის საშუალებით. ვიზიტისას შესაძლებელი გახდა მატერიალური ფორმით არსებული სახელმძღვანელოების მოძიება და ექსპერტებისათვის დემონსტრირება.

***ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით უნდა ითქვას, რომ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.***



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

2.2.1.6. სსსმ პირებს საჭიროების შემთხვევაში ექნებათ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქციის მე-4 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად რეგულირებულია, რომ საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც დაეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე). ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოყენებულ იქნება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ამასთან, როგორც ვიზიტისას დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან გაჟღერდა, დაწესებულებას ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა, უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა. ამასთან, დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებთან საუბრისას აღნიშნეს, რომ დაწესებულებას აქვს სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემო, კერძოდ პანდუსი და ადაპტირებული სველი წერტილები. ასევე გასაუბრებისას აღინიშნა, რომ დღეის მონაცემებით აღნიშნულ პროგრამაზე დაწესებულებას არ ჰყავთ სსსმ პირი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

*ზემოაღნიშნულის შესაბამისად დასტურდება, რომ სსსმ პირებს საჭიროების შემთხვევაში ექნებათ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.*

2.2.1.7. <u>დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.</u> ექსპერტთა მიერ განხილულ იქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი ბიუჯეტი, საიდანაც ირკვევა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საფინანსო სერვისები“ ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამა მიმდინარეობს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ვაუჩერული დაფინანსებით. დაწესებულების მიერ წარდგენილ ბიუჯეტში გაწერილია შემოსავლისა და ხარჯების სახეები. ბიუჯეტის შესაბამისად, რენტაბელობის ზღვარი არის 10 სტუდენტი.

*შესაბამისად, დასტურდება, რომ დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.*

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

პროგრამა „ფინანსური სერვისები“ უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით, რაც დასტურდება:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით „საფინანსო სერვისები“ - დამტკიცებულია სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 1 აპრილის № 6-22 დადგენილებით,
- დაწესებულების მიერ პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით,
- დაწესებულების მიერ მატერიალური რესურსების შეძენის მიზნით სახელმწიფო შესყიდვის გზით გაფორმებული ხელშეკრულებებით,
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის შესახებ ფორმით (დანართი 3),
- დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ წარდგენილი ფორმით (დანართი 4),
- პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმით და მასთან გასაუბრებით,
- პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებითა და მათი პირადი საქმეებით,
- გასაუბრების შედეგებით,
- ვებ-გვერდით (www.gu.edu.ge),
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (დამტკიცებულია სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივლისის N6-29 დადგენილებით),
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ინსტრუქციით (დამტკიცებულია სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 28 მაისის N6-27 დადგენილებით),
- პროგრამის ბიუჯეტით (დანართი 5),
- ვიზუალური დათვალიერებით (დისტანციურად - ZOOM-ის პლატფორმის საშუალებით).

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

07/10/2021
თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: